საზოგადოება

პროფკავშირი პედაგოგებს მოუწოდებს, უარი თქვან მოკლევადიანი ხელშეკრულებების გაფორმებაზე

11:28 30-09-2011

პედაგოგთა პროფკავშირი მოუწოდებს პედაგოგებს, უარი თქვან ძველი შრომითი ხელშეკრულებების ვადამდე შეწყვეტაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით დღეს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოფისში მაია კობახიძემ პრესკონფერენცია გამართა.

როგორც მაია კობახიძემ განაცხადა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის სიტყვიერი განკარგულებით, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები და საჯარო სკოლის დირექტორები პედაგოგებისაგან ითხოვენ, გააფორმონ 4-თვიანი, 6-თვიანი და 1-წლიანი ხელშეკრულებები.

მაია კობახიძის თქმით, დირექციასა და მასწავლებლებს შორის შრომითი ხელშეკრულება დაიდო 2007-2008 წლებში, ეს პროცესი მიმდინარეობდა მასწავლებელთა ინტერესების სრული იგნორირებით, რასაც პროფკავშირის პროტესტი მოჰყვა. პროფკავშირების ჩარევის შემდეგ, სკოლების უმრავლესობაში მასწავლებლებთან გაფორმდა 3-6-წლიანი და უვადო ხელშეკრულებები. ამ საკითხის გადაწყვეტაში თავად საქართველოს პრეზიდენტიც ჩაერია.

მაია კობახიძის თქმით, პრეზიდენტმა საჯარო გამოსვლებში არაერთხელ ისაუბრა მოკლევადიანი ხელშეკრულების მანკიერ მხარეებზე და მხარი დაუჭირა გრძელვადიანი და უვადო ხელშეკრულებების გაფორმებას.

კობახიძის ინფორმაციით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #959 ბრძანებაში, 2008 წლის 8 აპრილს #313 ბრძანებით შევიდა ცვლილება და დაემატა მე-9 პრიმა მუხლი, რომლის თანახმადაც, მასწავლებელთან დასადები შრომითი ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა მინიმუმ 3-დან 5 წლის ვადით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მაია კობახიძე მოუწოდებს პედაგოგებს, დაიცვან საკუთარი კანონიერი უფლებები და უარი თქვან ძველი შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტაზე, ახალი მოკლევადიანი კონტრაქტების დადებაზე და არ შეასრულონ დირექტორების მოთხოვნა 4-თვიანი, 6-თვიანი და 1-წლიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

მაია კობახიძემ აღნიშნა, რომ ისინი აპირებენ, პედაგოგთა შრომითი უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას, განათლების ინტერნაციონალს, მსოფლიო პროფკავშირების ორგანიზაციას და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს.

მასალის გამოყენების პირობები